საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 04-3/12440
22/12/2023

12440-04-3-2-202312221610

სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და

გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორს

ბატონ ალექსანდრე კუტიბაშვილს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

(სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმის/ექიმი რეზერვის, უმცროსი ექიმის/უმცროსი ექიმის რეზერვის, ექთნის/ექთნის რეზერვის, მძღოლის/მძღოლის რეზერვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელყოფის თაობაზე)

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმების კოლექტიური განცხადება[1], სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ, მათი შრომითი უფლებების შესაძლო ხელყოფის ფაქტის შესახებ. საქმისწარმოების ფარგლებში, სახალხო

[1] N8519/23 განცხადება

დამცველის აპარატის მიერ გამოთხოვილი[2] და ცენტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის[3] შესწავლის შედეგად, უწყების მიერ განხორციელებულ ქმედებებში გამოიკვეთა სავალდებულო გამოცდაზე გასული პირების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემა.

ფაქტობრივი გარემოებები

სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმის/ექიმის რეზერვის, უმცროსი ექიმის/უმცროსი ექიმის რეზერვის, ექთნის/ექთნის რეზერვისა და მძღოლის/მძღოლის რეზერვის მიერ, სავალდებულო გამოცდების ჩაბარების შესახებ" სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 15 აპრილის N12-56/ო ბრძანებით განსაზღვრულია ცენტრის ბრიგადის წევრებისთვის სავალდებულო გამოცდების ჩაბარების წესი. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდა 2022 წლის 1 მაისიდან და ითვალისწინებს ცენტრში დასაქმებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ყველა წევრის მიერ, სავალდებულო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებას 2 წელიწადში ერთხელ.

ბრძანების თანახმად, პირველი გამოცდის წარუმატებლად ჩაბარების შემთხვევაში, გამოსაცდელს 60 კალენდარული დღის განმავლობაში გამოცდის კიდევ ორჯერ ჩაბარების შესაძლებლობა ეძლევა, ხოლო აღნიშნულ ვადაში გამოცდის სამჯერ ჩაუბარებლობა გამოიწვევს კანდიდატსა და ცენტრს შორის მიმდინარე შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას ან/და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმას. ამასთან, კანდიდატები უფლებამოსილები არიან ბოლო წარუმატებელი გამოცდიდან 1 წლის გასვლის შემდეგ, ხელახლა ჩააბარონ გამოცდა.

2023 წლის 3 აგვისტოს მონაცემებით, ცენტრის მიერ სავალდებულო გამოცდის ჩაუბარებლობის გამო, საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს შრომის კოდექსის" 47-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე ***„დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობა“*** 59 თანამშრომელს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება.[4]

გამოცდაზე გამსვლელი პირებისთვის საგამოცდო მასალა ხელმისაწვდომია წინასწარ. ამასთან, ცენტრის განმარტებით, ყველა საგამოცდო კითხვა გამომდინარეობს საგამოცდო მასალიდან.

---

[2] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 27 ივლისის N 04-3/7355; 18 აგვისტოს N 04-3/8268 და 13 სექტემბრის N 04-3/9225 წერილები.

[3] სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის 2023 წლის 3 აგვისტოს EMSC 1 23 00821863 და 22 სექტემბრის EMSC 6 23 01003117 წერილები.

[4] ცენტრის განმარტებით, გათავისუფლებული თანამშრომლებიდან გამოცდაზე სამჯერ გავიდა 31 თანამშრომელი. ორჯერ - 16 თანამშრომელი. ერთხელ - 11 თანამშრომელი. ერთი თანამშრომელი საერთოდ არ გამოცხადდა გამოცდაზე.

გამოცდის მიმდინარეობისას, რამდენადაც გამოცდა ტარდება ელექტრონულად, გამოსაცდელ პირებს, როგორც წესი, არ აქვთ სამუშაო (ე.წ შავი სამუშაოსთვის) ფურცელი, მაგრამ მოთხოვნის შემთხვევაში, სამუშაოდ ეძლევათ აღნიშნული. განმცხადებლების განმარტებით, მიუხედავად მათი მოთხოვნისა, ცენტრის მიერ, უარი ეთქვათ გამოცდის დასრულების შემდეგ სამუშაო ფურცლის გადაცემაზე.

გამოსაცდელი პირის მიერ სავალდებულო გამოცდის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის წევრებს, წინამდებარე ბრძანების გაცნობის და ცენტრის დირექტორის 2022 წლის 15 აპრილის N12-56/ო ბრძანებით განსაზღვრული სავალდებულო გამოცდების ორივე კომპონენტის შედეგების გაცნობის დღიდან, ეძლევათ 2 სამუშაო დღის ვადა გამოცდის შედეგების გასაჩივრებისთვის. გამოსაცდელ პირს გადაეცემა მის მიერ შესრულებული ნაშრომი კომისიის წინაშე მისი განხილვისა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირების მიზნით.[5]

ცენტრი ახორციელებს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდის როგორც აუდიო, ასევე ვიდეო ჩაწერას (აღნიშნულის თაობაზე გამოსაცდელი პირები ინფორმირებული არიან წინასწარ) და გამოსაცდელი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ჩანაწერი განიხილება საჩივრების განმხილველი კომისიის მიერ.

სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ცენტრის მიერ, მოთხოვნის მიუხედავად, არ გაიცემა შესრულებული ტესტი. შესაბამისად, გამოცდის შედეგების გასაჩივრების გარეშე, გამოსაცდელ პირებს არ აქვთ მათ მიერ შესრულებული საგამოცდო ტესტის/ აუდიო-ვიდეო ჩანაწერის მიღებისა და გაცნობის შესაძლებლობა.

ცენტრის განმარტებით, გარდა საგამოცდო ტესტების გავრცელების პრევენციისა, შესრულებული ტესტების გაუცემლობის მიზეზს წარმოადგენს ისიც, რომ საგამოცდო ტესტები წარმოადგენს ცენტრის კომერციულ საიდუმლოებას.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს[6], საკუთარ პერსონალურ ინფორმაციაზე წვდომა თვითგამორკვევის უფლების მნიშვნელოვანი ასპექტია. კონსტიტუციის ხსენებული ნორმა სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პირს ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც, გასცეს მის ხელთ

---

[5] ,,სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმის/ექიმის რეზერვის, უმცროსი ექიმის/უმცროსი ექიმის რეზერვის, ექთნის/ექთნის რეზერვისა და მძღოლის/მძღოლის რეზერვის მიერ, სავალდებულო გამოცდების ორივე კომპონენტის შედეგების საჩივრების განმხილველი კომისიის შექმნისა და გასაჩივრების წესის შესახებ'' ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 აგვისტოს NEMSC 3 22 00000047 ბრძანების მე-3 მუხლი.

[6] გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით, ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად.

არსებული ინფორმაცია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, *„ადამიანის უფლების — გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას — მიზანს არ წარმოადგენს ინფორმაციის მარტოოდენ წაკითხვა ან შესაბამისი დოკუმენტების ვიზუალური დათვალიერება. მისი დანიშნულება იმგვარი მექანიზმის შექმნაა, რომელიც დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემს სათანადოდ, გულდასმით შეისწავლოს ინფორმაცია, გამოიკვლიოს მისი სისწორე, გააანალიზოს, გააკეთოს დასკვნები, გაავრცელოს ან/და გამოიყენოს იგი სხვადასხვა ლეგიტიმური მიზნით.“*[7] შესაბამისად, უფლებით დაცულ სფეროში, მათ შორის, ექცევა ამ ინფორმაციის ეფექტიანი გაცნობის შესაძლებლობა, რაც, საჭიროების შემთხვევაში, ამგვარი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის ასლის სახით მიღებასაც გულისხმობს.

საკუთარ მონაცემებზე წვდომის უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლითაც. სასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა ფიზიკური პირის უფლება - ჰქონდეს წვდომა საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე, ამასთან, სასამართლო აღნიშნულს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთანაც აკავშირებს.[8]

პირის უფლება, ჰქონდეს წვდომა საჯარო/კერძო დაწესებულებაში დაცულ საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე, გარანტირებულია არაერთი საერთაშორისო აქტით. „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის[9] მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონვენცია აღიარებს პირის უფლებას, გონივრული ინტერვალებითა და გადაჭარბებული დაგვიანების თუ ხარჯების გარეშე, მიიღოს მის შესახებ მონაცემები ნებისმიერი ობიექტურად გასაგები, აღქმადი, ხელმისაწვდომი ფორმით. ამასთან, საკუთარ მონაცემებზე წვდომის უფლებას მკაფიოდ აღიარებს ***მოდერნიზებული 108-ე კონვენციის*** მე-9 მუხლი. კერძოდ, თითოეულ ფიზიკურ პირს აქვს უფლება, მოთხოვნისთანავე მიიღოს ინფორმაცია საკუთარი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

ევროკავშირის კანონმდებლობაში პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება მკაფიოდ აღიარებულია GDPR[10]-ის მე-15 მუხლით და მიიჩნევა ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიით[11] გარანტირებული მონაცემთა დაცვის ფუნდამენტური უფლების ერთ-ერთ ელემენტად.[12] ფიზიკური პირის უფლება, ჰქონდეს წვდომა საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე, ევროპის მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის ძირითადი კომპონენტია.[13]

---

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის №1/3/1312 გადაწყვეტილება საქმეზე კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

[8] ECtHR, , Gaskin v. the United Kingdom, No. 10454/83, ECtHR, Odièvre v. France [GC], No. 42326/98, ECtHR, K.H. and Others v. Slovakia, No. 32881/04, ECtHR, Godelli v. Italy, No. 33783/09.

[10] General Data Protection Regulation - ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია.

[11] ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

[12] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, FRA, COE, 2018, 247.

[13] GDPR, Art. 15, 3.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.[14] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27[2] მუხლი განსაზღვრავს კომერციული საიდუმლოების დეფინიციას. ***„კომერციული საიდუმლოება – ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.“*** მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ ინფორმაცია ჩაითვალოს კომერციულ საიდუმლოებად, აუცილებელია ამ ინფორმაციამ დააკმაყოფილოს მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმები. ერთის მხრივ, ინფორმაცია უნდა იყოს კომერციული ფასეულობის მქონე, ხოლო მეორეს მხრივ, ინფორმაციის გამჟღავნებამ პირის კონკურენტუნარიანობას შესაძლო ზიანის მიყენების რისკი უნდა შეუქმნას.

განსახილველ შემთხვევაში, ცენტრის განმარტება, რომ საგამოცდო ტესტები/კითხვები წარმოადგენს ცენტრის კომერციულ საიდუმლოებას ვერ აკმაყოფილებს კანონის დანაწესს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მისაჩნევად, შესაბამისად, არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას და აღნიშნული საფუძვლით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ვერ ჩაითვლება ლეგიტიმურად. ამასთან, საკანონმდებლო რეგულაციის თანახმად, იმისათვის, რომ ინფორმაცია მიჩნეულ იქნეს კომერციულ საიდუმლოებად, აუცილებელია მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით ასეთ საიდუმლოებად მიჩნევა.[15] აღსანიშნავია, რომ ცენტრს სახალხო დამცველის აპარატისთვის არ წარმოუდგენია ისეთი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც საგამოცდო ტესტები მიჩნეულია კომერციულ საიდუმლოებად.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატების მიერ დაწერილი საგამოცდო ტესტები, წარმოადგენს კანდიდატების შესახებ, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში დაცულ პერსონალურ ინფორმაციას. პერსონალური მონაცემია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით[16][17]. პირის მიერ შესრულებული საგამოცდო

---

[14] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[15] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 27[2], ნაწილი 3.

[16] პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. იხ., საქართველოს კანონი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 2 ქვეპუნქტი „ა“.

[17] საქართველოს კანონი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 2, ქვეპუნქტი „ა“.

დავალება შეიცავს პირის მაიდენტიფიცირებელ ან იდენტიფიცირებად ინფორმაციას, შესრულებული ტესტით შესაძლებელია ნაწერის ავტორის იდენტიფიცირება, შეფასება, რამდენადაც აღნიშნული ინფორმაცია ინახება ცენტრში. მონაცემთა სუბიექტის[18] მოთხოვნის შემთხვევაში, ცენტრს, როგორც საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით[19] აგრეთვე, საერთაშორისო აქტებით ეკისრება ამ ინფორმაციის გაცემის ვალდებულება.

მართალია, ცენტრის განმარტება, საგამოცდო ტესტების შემდგომი გავრცელების პრევენციის აუცილებლობის შესახებ, შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ლეგიტიმურ ინტერესად, თუმცა პირის საკუთარ მონაცემებზე წვდომის შეზღუდვა ვერ ჩაითვლება ასეთი ლეგიტიმური ინტერესის პროპორციულ ზომად. მოცემულ შემთხვევაში, პირის ინტერესი ჰქონდეს წვდომა უწყებაში მასზე დაცულ ინფორმაციაზე აჭარბებს ცენტრის მიერ დასახელებულ პოტენციურ რისკებს. საგამოცდო ტესტების გავრცელება წარმოადგენს პოტენციურ შედეგს, რომელიც შესაძლებელია დადგეს ინფორმაციის გაცემის შემთხვევაში, პოტენციური რისკი კი ვერ ჩაითვლება უფლებაში ჩარევის პროპორციულ ზომად და ვერ დააკმაყოფილებს ჩარევის მართლზომიერებისათვის აუცილებელ თანაზომიერების ტესტს.[20]

მნიშვნელოვანია, რომ კვალიფიკაციის დამადასტურებელი ტესტირება არაერთ დარგში გამოიყენება, მათ შორის, საექიმო საქმიანობის სახელმწიფო სერტიფიკატი გაიცემა ერთიანი დიპლომისშემდგომი კვალიფიკაციის დამადასტურებელი ტესტირების საფუძველზე. აღნიშნული ტესტირების მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს სიმულაციური ტესტის გავლისა და საკუთარი შედეგების გადამოწმების შესაძლებლობას[21]. აგრეთვე, ყოველწლიურად საჯაროდაა ხელმისაწვდომი სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ გამოცდებზე გამოყენებული საგამოცდო ტესტები, ხოლო გამოსაცდელს აქვს შეუზღუდავი წვდომა თავის ნაშრომზე.[22] ამასთან, საყურადღებოა, რომ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის განმარტებით, ტესტის შერჩევა ხორციელდება შემთხვევითობის პრინციპით, კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით, ადამიანური რესურსის ჩაურევლად.[23] შეზღუდული რაოდენობის საგამოცდო კითხვების არსებობის შემთხვევაშიც კი, გამოსაცდელის ინტერესი - ჰქონდეს წვდომა საკუთარ ნაშრომზე - უპირატესია და ცენტრის მიერ დასახელებული[24] ლეგიტიმური მიზნის

---

[18] ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება, საქართველოს კანონი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 2, ქვეპუნქტი „ვ“.

[19] საქართველოს კანონი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მუხლი 21, პუნქტი 5.

[20] უფლებაში ჩარევა უნდა აკმაყოფილებდეს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს და მისი სიმძიმიდან გამომდინარე, უნდა იყოს აუცილებელი ღონისძიება.

[21] ხელმისაწვდომია ბმულზე: https://onlinereg.moh.gov.ge/login.html {ბოლო ნახვის თარიღი 12/12/2023}

[22] ხელმისაწვდომია: ბმულზე: https://naec.ge/#/ge/post/2453 {ბოლო ნახვის თარიღი 12/12/2023}

[23] სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის 22 სექტემბრის EMSC 6 23 01003117 წერილი.

[24] სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის 2023 წლის 22 სექტემბრის EMSC 6 23 01003117 წერილით ცენტრის მიერ, სახალხო დამცველის აპარატს განემარტა, რომ დოკუმენტაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს საგამოცდო კითხვების გავრცელების პრევენცია.

მიღწევა სხვა, უფრო ნაკლებად შემზღუდველი საშუალებით უნდა განხორციელდეს. ამდენად, ტესტების გავრცელების პრევენციაზე აპელირებით კანდიდატების ცენტრში დაცულ ინფორმაციაზე წვდომის უფლების შეზღუდვა, უფლებაში არამართლზომიერ ჩარევას წარმოადგენს.

პაციენტის უპირატესი ინტერესის რეალიზებისათვის უმნიშვნელოვანესი ასპექტია, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის თანამშრომლებს ჰქონდეთ სამუშაოს შესასრულებლად საკმარისი კვალიფიკაცია[25] და სავალდებულო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება ემსახურება ლეგიტიმურ საჯარო ინტერესს, თუმცა კარგი მმართველობის პრინციპი სახელმწიფო დაწესებულებებს, საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას, აკისრებს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულებას.[26] შესაბამისად, ცენტრი ვალდებულია თითოეულ შემთხვევაში, არამხოლოდ დაასაბუთოს დასაქმებულთან ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები, არამედ უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის გამჭვირვალობა და მონაცემთა სუბიექტების ინფორმაციაზე წვდომა.

განმცხადებლები სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციით განმარტავენ, რომ ცენტრიდან გათავისუფლებული თანამშრომლების ძირითადი ნაწილი (პირები, რომლებმაც ვერ ჩააბარეს გამოცდა წარმატებით) წარმოადგენენ იმ პირებს, ვინც მონაწილეობას იღებდა შრომის სამართლიანი ანაზღაურებისა და შრომის ღირსეული პირობების მოთხოვნით მიმდინარე საპროტესტო აქციებში. ამასთან, დასაქმებულთა განმარტებით, ბუნდოვანებაა შესრულებულ საგამოცდო ტესტების შედეგებთან დაკავშირებით და სადავოდ ხდიან საგამოცდო პროცესის სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. ის გარემოება კი, რომ დასაქმებულებს გამოცდის შედეგების გასაჩივრების გარეშე არ აქვთ წვდომა საკუთარ ნაშრომებზე და გასაჩივრების შემთხვევაშიც მხოლოდ კომისიის წინაშე ეძლევათ გაცნობის შესაძლებლობა, საგამოცდო პროცესის გამჭვირვალობას ვერ უზრუნველყოფს.

საგულისხმოა ისიც, რომ ცენტრში დასაქმებული პირების კოლექტიურ შრომით უფლებებთან დაკავშირებული გამოწვევების თაობაზე, სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებითაც მიმართა სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებულ მრჩეველთა საბჭოს და სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს.[27]

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით, სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა - მოთხოვნის საფუძველზე არ გასცეს პირის მიერ შესრულებული საგამოცდო ტესტი, არღვევს, როგორც საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, აგრეთვე,

---

[25] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას- 1845-2019.
[26] ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ohchr.org/en/good-governance/international-standards {ბოლო ნახვის თარიღი: 12/12/23}.
[27] ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/dixH6

საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს და წარმოადგენს უწყებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის (თვითგამორკვევის) უფლებაში არამართლზომიერ ჩარევას.

დასკვნა

ამრიგად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით, სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 15 აპრილის N12-56/ო ბრძანებაში -სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმის/ექიმის რეზერვის, უმცროსი ექიმის/უმცროსი ექიმის რეზერვის, ექთნის/ექთნის რეზერვისა და მძღოლის/მძღოლის რეზერვის მიერ, სავალდებულო გამოცდების ჩაბარების მარეგულირებელ წესში, შეიტანოთ იმგვარი ცვლილება, რომ გამოსაცდელი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, გაასაჩივრებს თუ არა გამოცდის შედეგებს, უზრუნველყოფილი იქნეს საკუთარი საგამოცდო ნაშრომის ხელმისაწვდომობა.

პატივისცემით,
ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

.